ისტორიული პიროვნება – ნოდარ ჭითანავა

უდიდესი სიამოვნებითა და პატივისცემით მივესალმები ბატონ ნოდარ ჭითანავას დაბადებიდან 89 წლის იუბილესთან დაკავშირებით, ვუსურვებ მას მტკიცე ჯანმრთელობას, კიდევ მრავალ ასეთ საიუბილეო თარიღს, ახალ-ახალ შემოქმედებით მიღწევებს!

აბა, რა არის იმაზე დიდი სიხარულისა და სიამოვნების განცდა, რომ მიულოცო ასეთი საიუბილეო დღე-ადამიანს, ვის მიმართ სრულიად გამორჩეული გრძნობა და პატივისცემა გაქვს და არა უბრალოდ სიახლოვის, არამედ მისი განსაკუთრებული ღირსებების გამო!

ბატონი ნოდარი სრულიად გადაუჭარბებლად თავისი ბუნებისა და დამსახურებების მიხედვით არის გასული ერთი საუკუნის მანძილზე საქართველოს ერთ-ერთი რჩეული, საამაყო შვილი, დიდი სახელმწიფო და პოლიტიკური, საზოგადო მოღვაწე, მეცნიერი-მოაზროვნე, ახალგაზრდა კადრების აღმზრდელი ნამდვილად ისტორიული პიროვნება. სადაც კი მოუწია მოღვაწეობა, იგი ყველგან იყო საქმის უბადლო ორგანიზატორი და, რაც მე ყველაზე მთავარი მგონია, დიდი ადამიანი, კეთილშობილებით, უბრალოებით, თავმდაბლობით, ადამიანებთან ურთიერთობაში განსაკუთრებული ჰუმანიზმის უნარით, პატრიოტიზმით, შეუდარებელი ეროვნული სულით გამორჩეული პიროვნება.

მისი მოღვაწეობის დახასიათებას არ შევუდგები. ამჯერად ამისი ადგილი არაა . მხოლოდ ზოგიერთი შტრიხით შემოვიფარგლები.., რომ ვაჩენო მისი, როგორც საუკუნის ადამიანის, ღირსებები.

ბატონი ნოდარი, რომელსაც ჩვენი ქვეყნის ხელისუფლების სხვადასხვა საფეხურზე თანამდებობები ეკავა რაიონის დონიდან დაწყებული ქვეყნის მთავრობის თავმჯდომარის საფეხურით დამთავრებული, ყოველთვის დიდი და გამორჩეული ავტორიტეტით სარგებლობდა. მე მას თავიდან შორიდან ვიცნობდი. მისდამი ყველა პატივცემით იყო გამსჭვალული, რადგან ცნობილი იყო მისი ერუდირებულობა, ოპერატიულობა, სამართლიანობა, პრინციპულობა, ობიექტრობა, თავმდაბლობა და გადაწყვეტილებების სწორად მიღების უნარი, ადამიანებისადმი ყურადღების და სხვა დადებითი თვისებები.

ცნობილი იყო, რომ იგი, ბევრის მგავსად, სხვისგან მოწოებული იდეებით არ მოქმედებდა და აზროვნებდა, არამედ საკუთარი შრომით მოპოვებული ცოდნითა და მრავალგზის შემოწმებული და გააზრებული გადაწყვეტილების საფუძველზე..

ადრიდანვე შთამბეჭდავი იყო მისი ანალიზური აზროვნება. ასეთ მაგალითს მოვიტან.მე ეკონომიკის კვლევით ინსტიტუტში ვმუშაობდი, ბატონი ნოდარი მთავრობის თავმჯდომარე იყო. ერთხელ მან მეცნიერები თავისთან მიგვიწვია ქვეყნის განვითარების პრობლემების განსახილველად.მე ვიცოდი მისი განსწავლულობის შესახებ. ჩვენს წინაშე მისი გამოსვლის შთაბეჭდილებამ ყველა ზღვარს გადააჭარბა. გაკვირვებულნი დავრჩით პრობლემების მისეული ანალიზით, გააზრებით, ღრმად და ფართოდ აღქმით, დასკვნებით.ბევრი მაღალი თანამდებობის პირის გამოსვლა მქონდა მოსმენილი, მაგრამ ასეთი შთამბეჭდვი-არა. ჩვენ მეგობრებში დიდხანს ვმსჯელობდით იმაზე, თუ რა ღრმად და ფართო კავშირების გათვალისწინებით მსჯელობდა ბატონი ნოდარი მსოფლიოს და სსრკ განვთარების კონტექსტში საქართველოს პრობლემების ირგვლივ და რა გამჭრიახობით დაგვისვა მან კვლევის ამოცანები.

საერთოდ, ბატონ ნოდარის არ სჭირდებოდა საჯარო გამოსვლისას სხვისი დაწერილი ტექსტით სარგემლობა, როგორც ამას ბევრი აკეთებდა მაშინ და აკეთებს ახლაც. მახსოვს, როგორ იყო გავსებული გაზეთების მთელი გვერდები ხშირად უმაღლესი ხელმძღვანელის გამოსვლის სხვის მიერ დაწერილი ტექსტებით, რომელთა შედგენაზე ადამიანთა ჯგუფები მუშაობდნენ.

ბატონ ნოდარის დიდ ავტორიტეტი ჰქონდა ქვეყანაში, რაც მას არ დაუკარგავს სახელმწიფო თანამდებობების დატოვებასთან ერთად, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება ხოლმე. მისდამი პატივცემა საზგადოებაში ყოველთვის დიდი იყო და არის. ერთ ფაქტს მოვიტან. გასული საუკუნის 90-იან წლებში ბატონი ნოდარი უკვე მეცნიერების დოქტორი საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის ეკონომიკისა და დაგეგმვის სამცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი იყო, სადაც მე მასთან ვმუშაობდი ორი ათელი წელე მეტ ხანს. ჩვენ ხშირად გავდიოდით რეგიონებში ადგილებზე

პრობლემების შესასწავლად. იქ ხშირად მიწევდა ყოფნა ბატონ ნოდარისთან ერთად, სადაც ვხვდებოდით რეგიონების მეთაურებსა თუ რიგით ადამიანებს. ბატონ ნოდარის ყველა დიდ მოწიწებით და პატივისცემით ხვდებოდა ყველგან. ახსოვდათ მისი მთავრობაში ადრინდელი მოღვაწეობის ამბები. ის ნამდვილად უყვარდათ. ყველამ იცოდა მისი დამსახურებები ქვეყნის წინაშე და თვისებებიც. მას კარგი სახელი ჰქონდა მთელ ქვეყანაში, სადაც არ უნდა ვყოფილვიყავით, ეს ყველგან იგრძნობოდა. ისიც მახსოვს, თუ როგორ სხვანაირად უყურებდა ხალხი ბევრ ყოფილ ლიდერს ქედმაღლურად რომ ექცეოდნენ ადამიანებს.

მსგავსი ფაქტები ბევრი მაქვს. მაგრამ აქ შევჩერდები. რამდენიმე სიტყვა ბატონ ნოდარის მეცნიერულ შემოქმედებაზე. იგი მეცნიერებით მუდამ იყო დაკავებული. მისი ბუნებრივი მოწოდება იყო კვლევა- ძიების, - ახალი ცოდნის მოპოვებისა და საზოგადოებისათვის გადაცემის უნარი. მან ჯერ კიდევ მაღალ თანამდებობეზე ყოფნისას გამოაქვეყნა მრავალი ნაშრომი. განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ადრე სოფლის მეურნეობის განვითარებას ქვეყანაში. საკანდიდატო და სადქტორო დისერტაციები თანამდებობებზე ყოფნისას დაიცვა.

მისი კვლევის სფერო შემდგომ გაფართოვდა, მოიცვა ეკონომიკისა და სოციალური სფერო, მრავალი პრობლემა. ნიშანდობლივია, რომ ბატონი ნოდარის კვლევის საგანი ხდება საზოგადოების ცხოვრების დღევანდელი რეალობის განსაკუთრებით აქტუალური და მწვავე პრობლემები. ისინი უწინარესად ეხება ჩვენი სამშობლოს-განვითარებას. ამასთან მუდამ დაკავშირებულია საერთაშორისო და მსოფლიო პროცესებთან. მის ნაშრომებში იგრძნობა, რომ საქართველო ევროპის ნაწილია, მჭიდროდაა დაკავშირებული მასთან, მსოფლიოს ერთი მონაკვეთია, რომელსაც ღირსეული ადგილი უნდა ეკავოს ამ დედამიწაზე.

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან, როცა სსრკ დაიშალა და საქართველოშიც ახალი ტიპის - საბაზრო ეკონომიკა გაჩნდა, ბატონმა ნოდარმა დიდი დრო და ენერგია მოახმარა ქვეყნის სწორი გზით განვითარების საკითხების კვლევას, მიმართულების შემუშავებას. მას მუდამ მეცნიერულად გააზრებული და დასაბუთებული რეკომენდაციები ჰქონდა და აქვს ქვეყნის განვითარების, მისი საბაზო მიმართულებების ირგვლივ.მას ღრმად ესმის, რომ 21-ე საუკუნეში საბაზრო ეკონომიკა ცივილიზებულად უნდა ვითარდებოდეს სოციალიზაციის მიმართულებით. მთელი ხალხისა და არა ადამიანების რაღაც ნაწილის ინტერესებს გათვალისწინებით, ცალკეული პირების-ოლიგარქიული მიზნების აღსრულებისათვის. ბატონმა ნოდარმა-ეს თვალსაზრისი ნათლად ჩამოაყალიბა ქალბატონ ეთერ თაკალანძესთან ერდად შექმნილ სპეციალურ წიგნში „ სოციალური ეკონომიკა“.

აქ მე არა მაქვს საშუალება დეტალურად განვიხილო ბატონ ნოდარის შრომები. მას ღრმა მეცნიერული მიდგომით აქვს ჩამოყალიბებული საქართველოს ეკონომიკის განვითარების სოციალური და ეკონომიკური პრობლემები, რომლებიც ეხება წარმოების განვითარების, ეკონომიკურ და სოციალურ ურთიერთობათა სრულყოფის, ჰუმანიზაციის აუცილებლობის საკითხებს. ბატონ ნოდარის არასდროს ავიწყდება, რომ თანამედროვე პირობებში საქართველოსათვის აუცილებელია გარე, განსაკუთრებით ცივილიზებულ სამყაროსთან მჭიდრო კავშირი, რომ იზოლირებულად ქვეყანა ვერ განვითარდება. მის წიგნებში არის მრავალი რეკომენდაცია ჩვენი ქვეყნის მომავალი პროგრესის ირგვლივ.ბოლო დროს მან დაწერა და გამოაქვეყნა მისეულად ღრმად გააზრებული და ნათლად ჩამოყალიბებული ნაშრომი თანამედროვე ერთპოლუსიან მსოფლიოსა და მასში საქართველოს არსებობისა და განვითარების პროცესების ირგვლივ. იგი ღრმა მოაზროვნის გონით წარმოაჩენს თანამედროვე კაცობრიობის ცხოვრებაში არსებულ გამოწვევებს, გვთავაზობს გამოცდილი და ცხოვრებით დაბრძენებული მკვლევარის მიერ გააზრებულ გზებს მათი დაძლევის მიმართულებით.

აქ არ მაქვს საშუალება დაწვრილებით განვიხილო ბატონი ნოდარის მდიდარი და საინტერესო მეცნიერული შემოქმედება. მასზე სხვავდასხვა დროს გამოქვეყნებული მაქვს რამდენიმე რეცენზია.

მე ეჭვი არა მაქვს, რომ ბატონი ნოდარი კვლავ შესძენს მეცნიერებას ახალ ფასეულ ნაშრომებს. კიდევ ერთხელ ვუსურვებ მას დიდხანს ჯანსაღ ცხოვრებას და ნაყოფიერ მეცნიერულ საქმიანობას.!.

ღრმა მეგობრული პატივისცემით, **გიორგი მალაშხია**